# პროექტი PRINTeL

## “ცვლილებები საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ხელის შეწყობა სტუდენტის სწავლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში”

## ERASMUS+ CBHE PROJECT# 585760-EPP-1-2017-1-AM-EPPKA2-CBHE-JP

პროექტი PRINTeL - “ცვლილებები საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ხელის შეწყობა სტუდენტის სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში” – მიზნად ისახავს სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას სომხეთის, საქართველოსა და ბელარუსის პარტნიორ უნივერსიტეტებში.

**ზოგადი მიზნები:**

- სტუდენტების სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესება სომხეთში, საქართველოსა და ბელარუსში, სწავლებისა და სწავლის (T&L) პროცესში ინოვაციებისა და განვითარების ხელშეწყობით, ტექნოლოგიებისა და კვლევების ინტეგრაციის მხარდაჭერა და არსებული საუკეთესო პრაქტიკის გავრცელება;
- სომხეთში, საქართველოსა და ბელარუსში უმაღლესი განათლების მოდერნიზება ბოლონიის პროცესის მიხედვით, თანამშრომლობის დამყარება ევროკავშირის ქვეყნებს შორის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ვირტუალური მობილობის ხელშეწყობით, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

**კონკრეტული მიზნები:**

- აკადემიური პერსონალის განვითარების ცენტრის (TSDC) გაძლიერება პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებში ლექტორებისა და ტრენერების შესაძლებლობების ზრდის, ინფრასტრუქტურის მოდერნიზების, აკადემიური პერსონალის ინოვაციური ტრეინინგების და აკადემიური ლიდერობის პროგრამების საშუალებით;
- პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების ზრდა მათი ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის, კომპეტენციებსა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განვითარებით;
- სწავლებისა და სწავლის ვირტუალური აკადემიის (VATL), როგორც მასწავლებლების, პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო საზოგადოების შექმნა, რომლებიც

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

დაინტერესებულნი არიან ღია აკადემიური რესურსების (OER) გამოყენებითა და გაზიარებით, ინოვაციური და ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლისა და სწავლების განვითარების მიზნით;

- ინოვაციური და ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლის მეთოდების და ტიპების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, საუკეთესო პრაქტიკების გავრცელება უნივერსიტეტებს შორის, ევროკავშირის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში.

**მეთოდოლოგია:**

- ტრეინინგებისა და პრაქტიკული სემინარების/ვორკშოპების ჩატარება ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებიდან;
- სწავლისა და სწავლების ინოვაციური პრაქტიკების დანერგვა პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებში;
- საერთო ვირტუალური პლატფორმის შექმნა, ღია აკადემიური რესურსების გამოყენებისა და გაზიარების მიზნით;
- სასწავლო ვიზიტების, საინფორმაციო სემინარების და კონფერენციების ორგანიზება პარტნიორ ქვეყნებში;
- პროექტის შედეგებისა და მასალების გავრცელება;

ამასთან, ცოდნის გაცვლა და გადაცემა, ნოუ-ჰაუების და წარმატებული პრაქტიკების გაზიარება ევროკავშირის წევრი და პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს პროექტის მიზნების განსახორციელებლად.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- 30 თანამშრომელისა და 100 ტრენერის ტრეინინგი ინოვაციური სწავლებისა და სწავლის მეთოდებში, ტექნოლოგიებით გაძლიერებული ინსტრუქციები;
- 28 ტექნოლოგიურად გაძლიერებული ლექტორების სატრენინგო საკლასო ოთახი, 9 მულტიმედია OER კონტენტის შენობა და 5 ახალი სამასწავლებლო ტრეინინგ კურსი;
- 500-ზე მეტი დატრეინინგებული მასწავლებელი, რომელიც ლექტორის გარდა სასწავლო მეთოდებისა და გარემოს დიზაინერიც იქნება;
- სწავლებისა და სწავლის ვირტუალური აკადემია (VATL) - ინტერაქტიული პროფესიული განვითარების, ერთობლივი სწავლისა და ვირტუალური მობილობის პლატფორმა T&L პრაქტიკული ინოვაციების გავრცელებისთვის;
- 6 ვირტუალური საზოგადოება სასწავლო პრაქტიკების შესახებ, ყოველწლიური ვირტუალური ფორუმი და დაჯილდოვების პროგრამები, ინოვაციური პედაგოგიკის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით;

- საინფორმაციო ბუკლეტების, VATL ინსტრუქციების, ინოვაციური T&L სახელმძღვანელოებისა და სატრენინგო კომპლექტების გავრცელება.

**ბენეფიციარები და სამიზნე ჯგუფები:**

პროექტს ექნება გავლენა პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებში და მათ გარეთ ინსტიტუციურ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე.

- მთლიანად უნივერსიტეტები;
- სტუდენტები (პარტნიორ ქვეყნებში და მათ გარეთ);
- აკადემიური პერსონალი(პარტნიორ ქვეყნებში და მათ გარეთ);
- ადმინისტრაციული პერსონალი და ხელმზღვანელობა (პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტები, მათ შორის ბიბლიოთეკარები, დეკანები, ვიცე-რექტორები);
- სხვა დაინტერესებული მხარეები და ეკონომიკური პარტნიორები (უმაღლეს გამათლებაში გადაწყვეტილების მიმღებები, პროფესიული ასოციაციები, სკოლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.)

**ხანგრძლივობა:**

3 წელი – 15 ოქტომბერი, 2017 - 14 ოქტომბერი, 2020

**PRINTeL კონსორციუმი:**

პროექტის კონსორციუმი შედგება 15 ინსტიტუციისგან, რომელთა შორის არის 3-3 უნივერსიტეტი პარტნიორი ქვეყნებიდან: სომხეთი, საქართველო და ბელარუსი; ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია სომხეთიდან და 5 უნივერსიტეტი ევროკავშირის ქვეყნებიდან.

**პარტნიორი ინსტიტუციები**

**სომხეთი**

P1 ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტი (YSU)–**პროექტის კოორდინატორი**

P2 სომხეთის ეროვნული პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (NPUA)

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

P3 ვანაძორის ჰ.თუმანიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (VSU)

**საქართველო**

P4 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ISU) – **ადგილობრივი კოორდინატორი**

P5 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (GTU)

P6 ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (TeSaU)

**ბელარუსი**

P7 ბელარუსი სახელმწიფო უნივერსიტეტი (BSU) - **ადგილობრივი კოორდინატორი**

P8 ბრესტის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი (BrSTU)

P9 იანკა კუპალას სახელმწიფო უნივერსიტეტი გროდნოში (YKSUG)

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

## არააკადემიური პარტნიორი

P10 უმაღლესი განათლების სტრატეგიული კვლევის ეროვნული ცენტრი(NCSRHE), სომხეთი

## ევროკავშირის პარტნიორი უნივერსიტეტები

P11 ლეუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (KU Leuven), ბელგია

P12 ბარსელონას უნივერსიტეტი (UB), ესპანეთი

P13 პორტოს უნივერსიტეტი (U.PORTO), პორტუგალია

P14 ლინკოპინგის უნივერსიტეტი (LiU), შვედეთი

P15 იოანეუმის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (FHJ), ავსტრია

მეტი დეტალური ინფორმაცია PRINTeL-ის პროექტისა და მისი აქტივობების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ PRINTeL ოფიციალურ ვებსაიტზე.

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union